ნეიტრალიტეტი - დაუცველი პატარა ქვეყნის პარადოქსული არჩევანი

ირინა გურგენაშვილი[1]

საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი თეორიის, რეალიზმის მიხედვით, საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში არსებული ყოველი სახელმწიფოს ეროვნული ინტერესები ე.წ. წარმოსახვით ხაზზეა განლაგებული. ამ ხაზის საწყისი წერტილი, იგივე სასიცოცხლო ინტერესი, თვითგადარჩენაა, ხოლო მეორე უკიდურეს, მაქსიმალურ წერტილში, მსოფლიო ბატონობის მისწრაფება თავსდება. იმის მიხედვით რა ზომისა და შესაძლებლობის არის ქვეყანა მისი ინტერესიც შესაბამისია - საერთაშორისო ანარქიაში[2] ვიღაცას მხოლოდ გადარჩენა სურს, ვიღაცას - მსოფლიო ბატონობა.[3] როგორც წესი, სისტემაში პატარა ქვეყნები იმგვარად ლავირებენ, რომ თვითგადარჩენის სასიცოცხლო ინტერესი დაიკმაყოფილონ. სწორედ ამიტომ, ხშირად, პატარა ქვეყნის საგარეო პოლიტიკური არჩევანი ნაკარნახევია არა მისი რეალური სურვილებითა და მისწრაფებებით, არამედ იმ სამწუხარო მოცემულობიდან გამომდინარე, რომ მას სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა აქვს შესანარჩუნებელი.

ალექსანდრე რონდელი[4] პატარა ქვეყნის შესაძლებლობებისა და სურვილების შეფასებისას ძველ ქართულ გამოთქმას იშველიებდა ხოლმე - „ეს ცხოვრება კიბეა, ზოგი ადის, ზოგი ჩადის, ზოგი კი - ცვივდებაო“. რა უნდა გააკეთოს პატარა ქვეყანამ რომ ამ წინსვლის კიბეზე არ ჩამოვარდეს? საქართველომ, როგორც ყველა პარამეტრით პატარა ქვეყანამ, რომელიც არაერთხელ დამდგარა თვითგადარჩენისა და სუვერენიტეტის შენარჩუნების საკითხის წინაშე, როგორ უნდა იმოქმედოს, როგორ დაალაგოს პრიორიტეტები და შეასრულოს ისინი, რომ ამ კიბიდან არ ჩამოვარდეს? ალბათ, სწორედ ეს არის ის კრიტიკულად მნიშვნელოვანი შეკითხვა, რომლის პასუხის ძიებაშიც ამ ქვეყნის მოქალაქეები, არც თუ ისე იშვიათად, ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე, ქვეყნის შესაძლო ნეიტრალიტეტის საკითხს განიხილავენ.

ამ ქვეყნის თვითგადარჩენისა და წინსვლის მნიშვნელოვან, შესაძლოა ითქვას უალტერნატივო გზას, ვფიქრობთ, რომ საქართველოს მოქალაქეებმა ადრეულ პერიოდშივე

---

[1]კვლევითი ინსტიტუტი Gnomon Wise („გნომონ ვაიზი“), საქართველოს უნივერსიტეტი. e-mail: i.gurgenashvili@ug.edu.ge

[2]რეალიზმის მიხედვით, იგივე ბუნებითი მდგომარეობა უზენაესი ხელისუფლების არარსებობის პირობებში, ყველას ომი ყველას წინააღმდეგ.

[3]რონდელი, ალექსანდრე. 2006. საერთაშორისო ურთიერთობები. თბილისი: მე-3 განახლებული გამოცემა.

[4]საქართველოში საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც სამეცნიერო დისციპლინის ფუძემდებელი.

„მიაგნეს“ და აირჩიეს საქართველოს ევროპული განვითარება, რაც შემდგომ დეკლარირდა, როგორც ქვეყნის ევრო-ატლანტიკური მისწრაფება, მაგრამ პროცესში აღმოცენებული ბევრი სირთულის კვალდაკვალ, ბუნებრივია, ჩნდებოდა და ჩნდება ამ პროცესისადმი წინააღმდეგობრივი დამოკიდებულებები. ამ წინააღმდეგობას, ძირითადად, ორი მიმართულება აქვს: კურსი ჩრდილოელი მეზობლისკენ და კურსი ნეიტრალიტეტისკენ, ხანდახან კი ეს ორი ერთმანეთს არ გამორიცხავს.

სწორედ თვითგადარჩენის ღირებული ინსტიქტის გათვალისწინებით და ამასთანავე, ქართულ რეალობაში ნეიტრალიტეტის საკითხზე არაერთგზის წამოჭრილი დისკუსიის საპასუხოდ, წინამდებარე დოკუმენტში, ვცდილობთ გავაანალიზოთ ნეიტრალიტეტის საკითხი სიღრმისეულად, მისი უპირატესობებით თუ ნაკლოვანებებით და ამავდროულად, წარმოვაჩინოთ ნეიტრალიტეტის არჩევანის პარადოქსულობა იმ პირობებში, როდესაც ქვეყანა საკუთარ ტერიტორიას სრულად ვერ აკონტროლებს, მტრის ჯართან ერთად უწევს „თანაცხოვრება“ და მცოცავ ოკუპაციასთან შეგუება. გარდა ამისა, ვიმედოვნებთ, ნაშრომი თავის მოკრძალებულ წვლილს შეიტანს საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინაში ჯერ კიდევ მსოფლიო და ცივი ომების დროს დაწყებულ და პოსტ ცივი ომის ეპოქაშიც აქტიურად გაგრძელებულ ფართო სამეცნიერო დებატში, რომლის მთავარი შეკითხვაა: როგორ უზრუნველყოფს ნეიტრალიტეტი უსაფრთხოებას და არის თუ არა ის ყველა ქვეყნისათვის თანაბრად ხელმისაწვდომი?

ნეიტრალიტეტი - ცნება, ფორმები, წინაპირობები და გამოწვევები

ბრიტანიკას (Britannica) მიხედვით, ნეიტრალიტეტი არის სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლებრივი სტატუსი, რომელიც წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ქვეყანა სხვა სახელმწიფოთა შორის მიმდინარე ომში ნებისმიერი სახით მონაწილეობისგან თავს იკავებს, მეომარ მხარეთა მიმართ მიუკერძოებელ დამოკიდებულებას განგრძობითად ინარჩუნებს და ამავდროულად, ომში ჩართულ მხარეთა მიერ აღიარებულია ეს თავშეკავება და მიუკერძოებლობა. საერთაშორისო სამართალში აღნიშნული სტატუსი გარკვეულ უფლებებსა

და მოვალეობებს[5] წარმოშობს ნეიტრალურ სახელმწიფოსა და მეომარ მხარეთა შორის.[6] საერთაშორისო საჯარო სამართლის ენციკლოპედიის თანახმად კი, ნეიტრალიტეტის ცნება არის სახელმწიფოს სამართლებრივი სტატუსი, რომელიც სხვა სახელმწიფოთა შორის არსებულ საომარ მოქმედებებში არ მონაწილეობს და ეს არ მონაწილეობა ხელშეწყობილია მეომარ მხარეთა მიერ.[7] სოციალური მეცნიერებების ენციკლოპედიის მიხედვით კი, ნეიტრალიტეტს ისეთივე ძველი ფესვები აქვს, როგორც სახელმწიფოს და ომს სახელმწიფოთა შორის, რადგან ყოველთვის არსებობდნენ ქვეყნები და სახელმწიფოებრივი ერთეულები, რომლებსაც არ სურდათ მიმდინარე ომებში მონაწილეობა და ამავდროულად, არსებობდნენ ქვეყნები, რომლებიც ამ სურვილს პატივს სცემდნენ.[8] თითოეული ამ განმარტების მიხედვით, ცალსახაა, რომ აღნიშნული მიუკერძოებლობა აღიარებული უნდა იყოს მეომარ მხარეთა მიერ, სწორედ ეს უკანასკნელი აუცილებელი პირობაა, რაც, უმეტესწილად, ხელს უშლის ხოლმე სახელმწიფოებს იყვნენ ნეიტრალურნი. ნეიტრალიტეტი, იმ პირობებში, როდესაც მეომარ მხარე(ებ)ს ეს ნეიტრალიტეტი არ აინტერესებს, ფურცელზე დაწერილი მიუღწეველი მდგომარეობაა.

როდესაც რომელიმე ქვეყანას ნეიტრალიტეტის საერთაშორისო სტატუსის მოპოვება სურს, ამის მიღწევა მხოლოდ მისი ინდივიდუალური სურვილით შეუძლებელია. ნეიტრალიტეტის გარანტორი, როგორც მინიმუმ ამღიარებელი მაინც, მასზე უფრო ძლიერი (როგორც წესი რეგიონის წამყვანი ქვეყნები) უნდა იყვნენ. ისტორიას არაერთი მაგალითი ახსოვს იმისა, რომ სხვა შემთხვევაში ნეიტრალიტეტის სურვილი უტოპიაა. მაგალითისთვის, 1956 წელს უნგრეთმა ანტისაბჭოთა ამბოხის შემდგომ განაცხადა, რომ ნეიტრალური ქვეყანა უნდა გამხდარიყო, თუმცა აღნიშნულ იდეას მხარი ცივი ომის არც ერთი ბანაკის ლიდერმა - არც საბჭოთა კავშირმა და არც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა არ დაუჭირა, შესაბამისად, უნგრეთის სურვილი სურვილად დარჩა და ამ ქვეყნის, როგორც საბჭოთა ბანაკის გავლენის სივრცის, არათუ საგარეო პოლიტიკური მისწრაფება, დამოუკიდებლობაც კი სათუო გახდა. ამ

[5] აღნიშნულ უფლებებსა და მოვალეობებს საერთაშორისო სამართალში მეტწილად აწესრიგებს პარიზის 1856 წლის დეკლარაცია, 1907 წლის ჰაგის მე-5 კონვენცია (ნეიტრალიტეტი სახმელეთო ომის დროს) და იმავე, 1907 წლის ჰაგის მე-13 კონვენცია (ნეიტრალიტეტი საზღვაო ომის დროს).

[6] Britannica. Neutrality in International Relations. Via URL: https://www.britannica.com/topic/neutrality (25. 07.2022).

[7] Encyclopedia of Public International Law, Vol. 4. 1982. North-Holland Publishing Company.

[8] Encyclopedia of Social Sciences. Neutral States. Via URL: https://www.encyclopedia.com/social-sciences/applied-and-social-sciences-magazines/neutral-states (25. 07. 2022).

განცხადებიდან მალევე, საბჭოთა ძალებმა უნგრული ანტიკომუნისტური მოძრაობა სისხლში ჩაახშეს და ქვეყანაში კვლავ საბჭოთა რეჟიმი დაამყარეს.[9]

მოსაზრება რომ ნეიტრალიტეტის მიღწევას სხვა დიდი ძალების ან/და მეომარ მხარეთა თანხმობა და თანმდევი სურვილი სჭირდება ახალი არ არის მსოფლიოსთვის და მის ისტორიას ძველ საბერძნეთამდეც კი მივყავართ. საერთაშორისო ურთიერთობების ანალიზისთვის, განსაკუთრებით მისი რეალიზმის პარადიგმის პერსპექტივიდან დანახვისთვის, ავტორები ხშირად მიმართავენ ხოლმე თუკიდიდეს შრომებს, რომელიც კლასიკური რეალიზმის იდეების ერთ-ერთ ფუძემდებლად მიიჩნევა. თუკიდიდეს „პელოპონესის ომებში“ ნეიტრალიზმის კონცეფციის გასააზრებლად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი „მელოსის დიალოგია“, რომელიც კარგად აჩვენებს, რომ ცალმხრივი ნეიტრალიზმი გარდა იმისა, რომ მიუღწეველია, ამავდროულად, დროში აფერხებს სახელმწიფოს და ართმევს ძვირფას დროს, რომელიც მოკავშირეთა მოძიებაში უნდა გამოიყენოს.

მელოსი ძველ საბერძნეთში სპარტელთა მიერ დაარსებული კოლონია იყო, რომელმაც მოგვიანებით მეტროპოლიისგან დამოუკიდებლობა მოიპოვა. სხვა კუნძულების მცხოვრებთაგან განსხვავებით, ათენის დაპყრობითი ომების დროს, მელოსელებმა ათენის იმპერიასთან შეერთებაზე უარი თქვეს, თავდაპირველად ნეიტრალიტეტს იცავდნენ და არც ერთ მხარეს არ ეხმარებოდნენ (მათ შორის არ მოიძიეს მოკავშირეები). თუმცა, მოგვიანებით, როდესაც ათენელებმა მათი ნეიტრალიტეტი უგულებელყვეს და ომი გამოუცხადეს, იძულებულნი გახდნენ ღიად დაპირისპირებოდნენ ათენს. ომამდე ათენსა და მელოსს შორის დიალოგი შედგა, რომელიც ძალიან კარგად აჩვენებს თუ რამდენად მიუღწეველია ნეიტრალიტეტი იმ პირობებში, როდესაც სხვა, უფრო დიდი ძალა ამ ნეიტრალიტეტსა და მიუკერძოებლობას არ აღიარებს.

<u>მელოსელები:</u> *„...ანუ თქვენთვის მიუღებელია, რომ ჩვენ ნეიტრალიტეტი დავიცვათ? რომ თქვენი მეგობრები ვიყოთ და არა მტრები, მაგრამ არ ვიყოთ რომელიმე მხარის მოკავშირენი? “*

<u>ათენელები:</u> *„მიუღებელია, რადგანაც თქვენი მტრობა ჩვენთვის იმდენად საზიანო არ არის; თქვენთან რომ ვიმეგობროთ, ჩვენი ვასალები ამას სისუსტის ნიშნად აღიქვამენ...“.*

[9] რონდელი, ალექსანდრე. 2009. პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი. მე-2 განახლებული გამოცემა.

<u>მელოსელები:</u> *„ნუთუ თქვენს ვასალებს ასე ესმით, რომ არ უნდა იყოს არავითარი განსხვავება თქვენგან თითქმის არავითარი კავშირის მქონე ხალხსა და მათ შორის, ვინც მეტწილად თქვენივე კოლონიაა ან თქვენ მიერ დამორჩილებული მეამბოხე?“*

<u>ათენელები:</u> *„ისინი ფიქრობენ, მართალსა და მტყუანს შორის განსხვავება არ არსებობს. ისინი ფიქრობენ, რომ ვინც ჯერაც დამოუკიდებელია, ამას საკუთარი ძლიერების წყალობით ახერხებს, ხოლო თუ ჩვენ ვინმეს არ ვესხმით თავს, ამის მიზეზი ის არის, რომ მათი გვეშინია. ამრიგად, თქვენი დამორჩილებით არა მხოლოდ ჩვენი იმპერიის საზღვრებს გავაფართოებთ, არამედ მის უსაფრთხოებასაც განვამტკიცებთ. ჩვენ ზღვებზე ვბატონობთ, ხოლო თქვენ კუნძულელები ხართ, თანაც სხვა კუნძულებზე უფრო სუსტები. ამიტომაც, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ჩვენს ბატონობას თავი ვერ დააღწიოთ“* .[10]

ეს მცირე მონაკვეთი „მელოსის დიალოგიდან“ ნეიტრალიტეტის გარდა, საერთაშორისო ურთიერთობების რეალისტური ხედვის სხვა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი საკითხის სიმძიმეს წარმოაჩენს, კერძოდ, დამოუკიდებლობის და სუვერენიტეტის შენარჩუნების უკიდურეს სირთულეს, ხანდახან შეუძლებლობასაც კი, როდესაც მარტო ხარ სხვა დიდი ძალის წინაშე, ამ ძალას კი გავლენის სფეროდ მიაჩნიხარ და ის შენს თავისუფლებას განიხილავს როგორც საკუთარ სისუსტეს.[11]

ნეიტრალიტეტის ცნება და მასთან დაკავშირებული პრაქტიკა მუდმივად იცვლებოდა, ვითარდებოდა და დროში განსხვავებულ თავისებურებებს იძენდა. მნიშვნელოვანია, რომ ერთმანეთისგან განვასხვავოთ *მიუმხრობლობა*, *იზოლაციონიზმი*, *ნეიტრალური პოზიცია* და *მუდმივი ნეიტრალიტეტი*.[12] ამ უკანასკნელში ერთიანდება *ლეგალური* (საერთაშორისო სამართლით აღიარებული სტატუსი), *ტრადიციული* (საერთაშორისო აქტით არ არის განმტკიცებული, მაგრამ ქვეყანას აქვს ნეიტრალიტეტის ხანგრძლივი ისტორია და მიჰყვება მის ტრადიციას) და *დე-ფაქტო* (ქვეყანა ახდენს ნეიტრალიტეტის დეკლარირებას, თუმცა ვერ იპოვებს აღიარებას სამართლით და არ აქვს მისი ტრადიცია) ნეიტრალიტეტის ფორმები[13].

მიუმხრობლობა, იგივე მიუმხრობლობის მოძრაობა, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ განვითარებული პროცესების შედეგია, როდესაც დეკოლონიზირებული აფრიკის, აზიისა და

---

[10] არტი, რობერტ და რობერტ ჯერვისი. 2015. საერთაშორისო პოლიტიკა - მუდმივი ცნებები და თანამედროვე საკითხები. *ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.*

[11] Simpson, Archi W. 2018. Realism, Small States and Neutrality.

[12] Lyon, Peter. 1960. Neutrality and the Emergence of the Concept of Neutralism. *Cambridge University Press for the University of Notre Dame du lac on behalf of Review of Politics* 22, No. 2. Via URL: Neutrality and the Emergence of the Concept of Neutralism on JSTOR (26. 07. 2022).

[13] Agius, Christine and Karen Devine. 2011. Neutrality: A really dead Concept? A Reprise. *Cooperation and Conflict* 265-285.

ლათინური ამერიკის ქვეყნებმა პოლიტიკური დამოუკიდებლობა გადაწყვიტეს და უარი განაცხადეს შეერთებოდნენ ცივი ომის რომელიმე ბანაკს, უფრო მეტიც, ისინი, ამავდროულად, იბრძოდნენ მშვიდობის განმტკიცებისთვის და ცდილობდნენ ქმედითი ნაბიჯების გადადგმას, რათა ცივი ომი ცხელ ფაზაში არ გადასულიყო. მიუმხრობლობის მოძრაობას სათავეში 1955 წელს ეგვიპტის, განის, ინდოეთის, ინდონეზიისა და იუგოსლავიის იმჟამინდელი ლიდერები ჩაუდგნენ.[14] აღსანიშნავია, რომ თავისი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, მიუმხრობლობის სტატუსის მქონე სახელმწიფოებს შეუძლიათ შექმნან კოლექტიური უსაფრთხოების რეგიონული ორგანიზაციები, რომლებიც თავის მხრივ, ერთგვარ გარანტორებად გვევლინებიან, რომ განამტკიცონ მიუმხრობელ ქვეყანათა მშვიდობისმოყვარე საგარეო პოლიტიკური კურსი. აღსანიშნავია, რომ მიუმხრობელი სახელმწიფოები უარს ამბობენ საკუთარი ტერიტორია დაუთმონ სხვა ქვეყნის სამხედრო ბაზას, არ მონაწილეობენ არსებულ სამხედრო პოლიტიკურ კავშირებში, წარმოადგენენ ერთიან პოზიციას საერთაშორისო ურთიერთობების პრობლემატურ საკითხებზე. ამავდროულად, მიუმხრობელი სახელმწიფოები მონაწილეობენ მშვიდობის უზრუნველყოფის საერთაშორისო მისიებში, მათ შორის, შედიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მშვიდობის დაცვის ძალებში (მაგალითად, ახლო აღმოსავლეთში, კვიპროსში, იემენში).[15]

მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით მიუმხრობლობა საერთაშორისო ურთიერთობების საინტერესო სტატუსად გამოიყურება, მას აქვს მნიშვნელოვანი პრობლემები და ისტორიაში დაგროვდა მოვლენები, რომლებიც მიუმხრობელ ქვეყანათა მშვიდობისმყოფელობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. ამ მოძრაობის მთავარი არსი იყო უარი ეთქვათ ბანაკებად დაყოფილი მსოფლიოსთვის და მშვიდობიანი ინტეგრაციისთვის შეეწყოთ ხელი, თუმცა მოძრაობის წევრები სხვადასხვა დროს ხან ამერიკის შეერთებულ შტატებს, ხანაც საბჭოთა კავშირს ეხმარებოდნენ.[16] თავად წევრი ქვეყნები არაერთხელ შევიდნენ შეიარაღებულ კონფლიქტში ერთმანეთთან, მაგალითად ირანი და ერაყი, პაკისტანი და ინდოეთი. საბჭოთა კავშირის ავღანეთში შეჭრამ კი წევრ ქვეყნებს შორის იდეურ განხეთქილებას შეუწყო ხელი და თავად ეს მოძრაობა დაყო ორ ბანაკად, სადაც ერთი მხარე აბსოლუტურად მისაღებად თვლიდა ავღანეთში ინტერვენციას, ხოლო მეორე მხარისთვის - მიუღებელი იყო. ცივი ომის

[14] Ministry of External Affairs, Government of India. 2012. History and Evolution of Non-Aligned Movement. Via URL: https://mea.gov.in/in-focus-article.htm?20349/History+and+Evolution+of+NonAligned+Movement (26. 07. 2022).
[15] ალექსიძე, ლევან. 2015. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. თბილისი: იურისტების სამყარო.
[16] Keethaponcalan. S. I. 2016. Reshaping the Non-Aligned Movement: challenges and vision. *Journal of Global South* 3, 4.

დასრულებამ მიუმხრობლობის მოძრაობას საერთოდ გამოაცალა არსებობის იდეა, დააკარგვინა რელევანტურობა და დღეს ის მხოლოდ პლატფორმაა, სადაც მესამე მსოფლიოს ქვეყნები სამიტებზე ერთმანეთს ხვდებიან.[17] მიუმხრობლობა რომ ნამდვილად „მკვდარი“ მოძრაობაა ამას კარგად აჩვენებს ბელარუსის „პატარა“ მაგალითიც, მიუმხრობლობის მოძრაობის წევრობას ხელი არ შეუშლია ბელარუსისთვის გაწევრიანებულიყო ჩრდილო ატლანტიკური ორგანიზაციის (NATO) აღმოსავლეთ „ანალოგში“, რუსეთის მიერ შექმნილ კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციაში (ОДКБ), რომელიც თავისი არსით (ისევე, როგორც ნატო) ეწინააღმდეგება მიუმხრობლობის მოძრაობის იდეას, ხოლო მეორე მხრივ, ძველ კონფლიქტებს საერთოდ რომ არ შევეხოთ, დღეს უკრაინაში რუსეთის მიერ დაწყებულ ომში, ბელორუსი პუტინის რუსეთის საუკეთესო მხარდამჭერად მოგვევლინა, როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო თვალსაზრისით.[18]

რაც შეეხება *იზოლაციონიზმს*, ის საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის ერთ-ერთი სახეა, რომელიც გულისხმობს სახელმწიფოს განზე გადგომას საერთაშორისო სისტემაში მიმდინარე პროცესებისგან. იზოლაციონიზმი ითვალისწინებს საგარეო ურთიერთობების მინიმუმამდე დაყვანას იქნება ის პოლიტიკური, სამხედრო თუ ეკონომიკური მიმართულება და ამავე დროს ქვეყნის საკუთარი რესურსებით თვითდაკმაყოფილებაზე ორიენტირებას.[19] მსოფლიო პოლიტიკაში იზოლაციონიზმის ერთ-ერთ ყველაზე დიდ გამოვლინებად ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა ითვლება დაარსებიდან მე-2 მსოფლიო ომამდე პერიოდში, როცა ამერიკის პოლიტიკა არ ატარებდა გლობალურ ხასიათს და აშშ-ს შიდა დისკურსი კონცენტრირებული იყო ქვეყნის მაქსიმალურ დისტანცირებაზე სხვა რეგიონებში მიმდინარე ომებისა თუ კონფლიქტებისგან.[20] აღნიშნული პოლიტიკის დეკლარირება მე-19 საუკუნიდან იწყება, მას შემდეგ რაც აშშ-ს მე-5 პრეზიდენტმა ჯეიმზ მონრომ შეიმუშავა დოქტრინა (ისტორიაში ცნობილი, როგორც მონროს დოქტრინა), რომლის მთავარი იდეა იყო ევროპული გავლენის შემცირება ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში, ევროპული კოლონიალიზმის დასრულება დასავლეთ ნახევარსფეროში და ამავდროულად, ამერიკის

---

[17] Rauch, Carsten. 2008. Farewell Non-Alignment? *Peace Research Institute Frankfurt*. Via URL: https://www.jstor.org/stable/resrep14485.1 (25. 07. 2022).

[18]Reuters. 2022. Belarus leader stands with Russia in campaign. Via URL: https://www.reuters.com/world/europe/belarus-leader-stands-with-russia-campaign-2022-07-03/ (26. 07. 2022).

[19]NPLG.gov.ge. იზოლაციონიზმი. იხ. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=4387 (27.07.2022).

[20]რონდელი, ალექსანდრე. 2006. საერთაშორისო ურთიერთობები. თბილისი: მე-3 განახლებული გამოცემა.

მაქსიმალური დისტანცირება მსოფლიოს სხვა წერტილებში მიმდინარე მოვლენებისგან.[21] ამერიკის იზოლაციონიზმის პოლიტიკის რღვევა და მისგან გადახვევა პირველი მსოფლიო ომის დროს დაიწყო, ხოლო ოფიციალურად დასრულდა მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებული შტატები, როგორც გლობალური პოლიტიკური მოთამაშე, ფიზიკურად ჩაერთო მეორე მსოფლიო ომში. აღსანიშნავია, რომ იზოლაციონიზმის პოლიტიკას ატარებდა იაპონია მე-17-მე-19 საუკუნეში, ნეპალი მე-19-მე-20 საუკუნეში, ჩრ. კორეა, ბირმა და ალბანეთი მე-20 საუკუნის 60-80-იან წლებში. თანამედროვე გლობალიზმისა და მულტიპოლარიზმის ეპოქაში იზოლაციონიზმი პოლიტიკურად თუ ეკონომიკურად გაკოტრებულ ორიენტაციად გამოცხადდა და ისტორიის საკუთრებად გადაიქცა.

ნეიტრალური პოზიცია სახელმწიფოს თავშეკავებული დამოკიდებულება და პოლიტიკაა კონკრეტულ საკითხთან, კონფლიქტთან თუ ომთან მიმართებით. ერთ კონფლიქტში ნეიტრალური პოზიციის მქონე სახელმწიფო, შესაძლოა, ამავდროულად, ჩართული იყოს სხვა დაპირისპირებაში. ეს პოზიცია ყალიბდება კონკრეტულ დროს კონკრეტულ საკითხთან მიმართებით და როგორც წესი, გამომდინარეობს ხოლმე ქვეყნის ეროვნული ინტერესებიდან (ისევე, როგორც საგარეო პოლიტიკის თითქმის ყველა ასპექტი). აღნიშნულის კარგი მაგალითია საქართველოს პოზიცია მთიანი ყარაბაღის კონფლიქტისადმი. საქართველოს კეთილმეზობლური და მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობა აქვს როგორც აზერბაიჯანთან, ისე სომხეთთან, ამავდროულად, მხარსუჭერს რეგიონში მშვიდობას და არ გამოხატავს რომელიმე მხარისადმი განსაკუთრებულ სიმპათიას ყარაბაღთან მიმართებით.

რაც შეეხება *მუდმივ ნეიტრალიტეტს*, საერთაშორისო ურთიერთობებში, ხშირად მას პატარა ქვეყნის „ეგოისტური“ ეროვნული ინტერესების პირმშოს უწოდებენ, რომელიც თავის მხრივ, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის და დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის მიღწევის სურვილიდან მომდინარეობს. მუდმივი ნეიტრალიტეტი გულისხმობს სხვა სახელმწიფოების მიერ აღიარებულ, რომელიმე ქვეყნის განსაკუთრებულ საერთაშორისო სამართლებრივ სტატუსს, რომელიც ვალდებულია იყოს მუდმივად ნეიტრალური, არ ჩაერთოს არსებულ და მომავალ დაპირისპირებებში, ამავდროულად, მას არ აქვს უფლება საკუთარი სურვილით უარყოს სტატუსი და ცალმხრივად გამოეთიშოს ნეიტრალურ პოზიციას. ნეიტრალური სახელმწიფო ვალდებულია არ წამოიწყოს შეიარაღებული

[21]Britannica. Isolationism. Foreign Policy. Via URL: https://www.britannica.com/topic/isolationism-foreign-policy (27. 07. 2022).

კონფლიქტი, შეძლოს და დაიცვას თავისი ნეიტრალიტეტი და დამოუკიდებლობა თავად, მას არ აქვს უფლება მიიღოს რაიმე ვალდებულება, რომელიც მის დამოუკიდებლობას პოლიტიკური თუ ეკონომიკური თვალსაზრისით შეზღუდავს. გარდა ამისა, არსებობს რიგი წინაპირობები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ქვეყანა, რომ მიიღოს მუდმივი ნეიტრალიტეტის სტატუსი. კერძოდ, ნეიტრალური ქვეყანა არ უნდა წარმოადგენდეს სხვა სახელმწიფოს პოლიტიკის მნიშვნელოვან ობიექტს/რომელიმე დიდი ძალა მას არ უნდა განიხილავდეს, როგორც გავლენის სფეროს. ასევე, უნდა შეეძლოს საკუთარი თავის დაცვა, ჰქონდეს დამტკიცებული და აღიარებული ტერიტორიული საზღვრები და ძალაუფლებას ახორციელებდეს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, ამასთანავე, შიდა პოლიტიკური თვალსაზრისით, ქვეყნის შიგნით უნდა არსებობდეს კონსოლიდაციის მაღალი ხარისხი.[22] ზოგადად, მუდმივი ნეიტრალიტეტი პატარა ქვეყნისთვის შესაძლოა კარგი დაცვა იყოს (მსოფლიო ომებში შვეიცარიისთვის უსაფრთხოების დაცვის კარგი მექანიზმი აღმოჩნდა), მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა პატარა ქვეყანა ისე ვერ აკმაყოფილებს ნეიტრალიტეტის წინაპირობებს, როგორც მაგალითად შვეიცარია.

ცივი ომის და შესაბამისად, რბილი ბიპოლარული სისტემის დასრულების შემდგომ, ნეიტრალიტეტი ერთგვარ მომაკვდავ კონცეპტად გადაიქცა, რიგი მიზეზების გამო (ყოველ შემთხვევაში, სფეროს მკვლევართა დიდი ნაწილისთვის ასე გამოიყურება)[23]. პირველი მნიშვნელოვანი მიზეზი იყო ის, რომ იმ ქვეყნებმა, რომლებიც, წესით, კარგი მაგალითი უნდა ყოფილიყვნენ ნეიტრალიზმის წარმატებულობის ხარისხის გასაზომად, უსაფრთხოების ახალი ქოლგის ძიება დაიწყეს[24]. ამ ავტორებისთვის (მოგვიანებით ეს პრაქტიკაშიც კარგად გამოჩნდა), ევროპის კავშირში ირლანდიის, ავსტრიის, ფინეთის, შვედეთისა და შემდგომ მალტის გაწევრიანება, აღიქმებოდა, როგორც არამხოლოდ ეკონომიკური კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით გადადგმული ნაბიჯი, არამედ უსაფრთხოების ქოლგა ორგანიზაციის ძიების პროცესი, რომელსაც მართალია პრეტენზია არ ჰქონდა სამხედრო უსაფრთხოებაზე, მაგრამ ამ ეკონომიკური ურთიერთკავშირით ქმნიდა ერთობის აღქმას, რომელიც ასე

[22] რონდელი, ალექსანდრე. 2009. პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში. *საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, მე-2 გამოცემა.*

[23] Dahl, 1997; Dorfer, 1997; Penttila, 1999; Jop and Ojannen, 1999; Ries, 1999; Forsberg, 2000; Forsberg and Vahtoranta, 2001; Sivonen, 2001; Winnerstig, 2001; Honkanen, 2002; Bailes 2006; Ferreira, 2007.

[24] Goetschel, Laurent. 1999. Neutrality a Really Dead Concept? Cooperation and Conflict 34, 115- 139.

სჭირდებოდა მუდმივი ომებისგან გადაღლილ და იმ პერიოდისთვის დაძაბუნებულ ევროპას[25]. კიდევ ერთი მიზეზი იმისა თუ რატომ მიიჩნევა უსაფრთხოების კვლევებში ნეიტრალიტეტი უსაფრთხოების არქაულ გარანტად, თანამედროვეობაში უსაფრთხოების კონცეფციის ცნების ცვლილებაა, სადაც ომი თავის ტრადიციულ დეფინიციასა და ფორმებს გასცდა და ახალმა საფრთხეებმა იჩინა თავი, მაგალითად, ტერორიზმმა.

2001 წლის 9/11-ის ტერორისტული აქტის შემდგომ, მსოფლიოს დიდი ძალების თავდაცვისა და უსაფრთხოების სტრატეგიები ტერორიზმის დამარცხებაზე გახდა ორიენტირებული. მსოფლიომ გაიაზრა, რომ მშვიდობის შერყევის ახალ, აბსოლუტურად განსხვავებულ ფორმასთან ჰქონდათ საქმე, რომელიც, თავის მხრივ, არ სცნობდა ომისთვის დამახასიათებელ საერთაშორისო პრინციპებს, მათ შორის, არ აინტერესებდა ნეიტრალური ქვეყნების ნეიტრალურობა. ერთად ბრძოლის აუცილებლობამ (მათ შორის EU-ს დიდმა კონტრიბუციამ) მოარღვია ნეიტრალების თავშეკავებული პოზიციები და იძულებული გახადა ისინი ახალ გამოწვევებს ახლებური უსაფრთხოების ხედვით დაპირისპირებოდნენ, რაც ითვალისწინებდა მათ მეტ თანამშრომლობას, ღიაობასა და შეთანხმებას არანეიტრალურ ძალებთან, რამაც, რა თქმა უნდა, ნეიტრალიტეტის კონცეფცია მეტად მოწყვლადი გახადა.[26] იგივე შეიძლება ითქვას სხვა თანამედროვე საფრთხეებზე, მაგალითად, კიბერ - უსაფრთხოებაზე, რომლის მიღწევაც მხოლოდ ერთი ქვეყნის დამოუკიდებელი და კერძო მუშაობის შედეგად პრაქტიკულად შეუძლებელია და ტრანს-სასაზღვრო თანამშრომლობის აუცილებლობას მოითხოვს.[27] სწორედ ამ გამოწვევების გაჩენამ დააეჭვა ნეიტრალიტეტის მომხრეები ტრადიციული ნეიტრალიტეტის ეფექტიანობის მნიშვნელობაში და ისეთ საზოგადოებაშიც კი, სადაც ნეიტრალიტეტის ღრმა ისტორიული კულტურაა (ვგულისხმობთ შვეიცარიას), მისი გადახედვის დისკუსია წაახალისა. 2022 წლის თებერვალში კი, რუსეთის შეჭრამ უკრაინაში და სუვერენული ქვეყნის წინააღმდეგ წამოწყებულმა სრულმასშტაბიანმა ომმა, სისტემაში ლიბერალიზმის პარადიგმის გავლენები მნიშვნელოვნად შეარყია, დაიწყო საერთაშორისო საზოგადოებაში შფოთვა იმაზე ხომ არ ვუბრუნდებით სახელმწიფოცენტრულ, დიდი ძალების დომინაციურ პოზიციებს, რაც პირდაპირ აისახა ნეიტრალიტეტის ისედაც

[25] Agius, Christine and Karen Devine. 2011. Neutrality: A really dead concept? A reprise. *Cooperation and Conflict* 46, No. 3. Via URL: 'Neutrality: A really dead concept?' A reprise on JSTOR (28. 07. 2022).
[26] Agius, Christine and Karen Devine. 2011. Neutrality: A really dead concept? A reprise. *Cooperation and Conflict* 46, No. 3. Via URL: 'Neutrality: A really dead concept?' A reprise on JSTOR (28. 07. 2022).
[27] IBM. 2020. To combat cross-border cyber threats, cooperation is key. Via URL: https://www.ibm.com/policy/to-combat-cross-border-cyber-threats-cooperation-is-key/ (28. 07. 2022).

მყიფე მდგომარეობაზე და მაგალითად, ტრადიციულად ნეიტრალური ფინეთი და შვედეთი ნატოსკენ დაძრა. აღნიშნული პროცესები გვაჩვენებს, რომ ყველა საჭირო წინაპირობის შემთხვევაშიც კი, ნეიტრალიტეტის ორიენტაცია თანამედროვე გამოწვევების წნეხს ვერ უძლებს. ხატოვნად რომ ვთქვათ, ეს ნიშნავს, რომ დაბომბვის მოლოდინში რკინის კარი გადაკეტო უსაფრთხოებისთვის.

რომ შევაჯამოთ, ნეიტრალიტეტი არ დგება ცალმხრივად და არ მუშაობს პრაქტიკაში მხოლოდ ერთი ქვეყნის სურვილით, ის კოლექტიური შეთანხმების პროდუქტია, რომელსაც მაქსიმუმ ყველა ქვეყანა აღიარებს, მინიმუმ ჩდებიან სხვა დიდი ძალები, რომლებიც ნეიტრალიტეტის გარანტორები ხდებიან. (მაგალითად, 1839 წლის ლონდონის კონფერენციამ და შეთანხმებამ ბელგია ცნო სუვერენულ სახელმწიფოდ და მუდმივი ნეიტრალიტეტი მიანიჭა, რომლის გარანტორად მოგვევლინა ინგლისი. 1914 წელს გერმანიამ ბელგიის ნეიტრალიტეტი დაარღვია და მის ტერიტორიაზე შეიჭრა, ინგლისმა, როგორც ბელგიის ნეიტრალიტეტის გარანტორმა გერმანიას ომი გამოუცხადა.[28]) გარდა ამისა, მნიშვნელოვანი წინაპირობებია, რომ ნეიტრალური ქვეყანა არ უნდა წარმოადგენდეს სხვა სახელმწიფოს პოლიტიკის ობიექტს/რომელიმე დიდი ძალა მას არ უნდა განიხილავდეს, როგორც გავლენის სფეროს. ნეიტრალურ ქვეყანას უნდა შეეძლოს საკუთარი თავის დაცვა, ჰქონდეს დამტკიცებული და აღიარებული ტერიტორიული საზღვრები და ძალაუფლებას ახორციელებდეს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, ამასთანავე, შიდა პოლიტიკური თვალსაზრისით, ქვეყნის შიგნით უნდა არსებობდეს კონსოლიდაციის მაღალი ხარისხი.

დღეისათვის ნეიტრალიტეტი გამოცხადებული აქვთ შემდეგ სახელმწიფოებს: შვეიცარია (1815 წლიდან), ლიხტენშტეინი (1868), შვედეთი (1919), ვატიკანი (1929), ირლანდია (1939), სან-მარინო (1945), მონაკო (1945), მექსიკა (1945), იაპონია (1947), კოსტა-რიკა (1949), ავსტრია (1955), ფინეთი (1956), სინგაპური (1965), მალტა (1980), პანამა (1989), მოლდოვა (1994), თურქმენეთი (1995), სერბეთი (2007), რუანდა (2009), უზბეკეთი (2012), მონღოლეთი (2015).[29] ზოგიერთი მათგანის ნეიტრალიტეტი საერთაშორისო სამართლებრივი სტატუსით აღიარებულია (მაგ. შვეიცარია), ზოგიერთი საერთაშორისო სტატუსისა და დეკლარირების გარეშე მიჰყვება ნეიტრალიზმის ტრადიციას (მაგ. ფინეთი) ზოგიც აცხადებს ნეიტრალიტეტს თუმცა

[28] Nilesh, Preeta. 2014. Belgian Neutrality and The First World War: Some insights. *Indian History Congress.* Via URL: https://www.jstor.org/stable/44158486#metadata_info_tab_contents (28.07. 2022).

[29] World Population Review. Neutral Countries 2022. Via URL: https://worldpopulationreview.com/country-rankings/neutral-countries (28. 07. 2022).

წევრიანდება ორგანიზაციებში, რომელიც კლასიკური ნეიტრალიზმის იდეას შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს (მაგ. უზბეკეთი). ფინეთის ყოფილმა პრეზიდენტმა, ურჰო კეკონენმა ერთხელ თქვა, რომ იმდენი ტიპის ნეიტრალიტეტი გვაქვს მსოფლიოში, რამდენი ნეიტრალური ქვეყანაც არსებობს[30], ნამდვილად ასეა თუ თვალს გადავავლებთ ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნების სპეციფიკასა და ნეიტრალიტეტის არჩევანის კონტექსტს, მაგრამ არსებობს პატერნები, რომელთა არ დაკმაყოფილების შემთხვევაში, ნეიტრალიტეტი არა მოქმედი სტატუსი, არამედ ბუტაფორია და თავის მოტყუებაა.

იმისათვის, რომ გავერკვეთ აღნიშნულ პატერნებში, მოკლედ უნდა მიმოვიხილოთ ნეიტრალიტეტის პრაქტიკული მაგალითიც და შევაფასოთ პერიოდი, როდესაც კონკრეტულმა ქვეყანამ ნეიტრალიტეტის დეკლარირება მოახდინა, რადგან თითქმის ყველა ავტორი, რომელიც ვახსენეთ, შენიშნავს, რომ საგარეო პოლიტიკური კურსის განსაზღვრისას, მით უმეტეს ნეიტრალიტეტის არჩევისას, კონტექსტი და დრო გადამწყვეტ დეტერმინატებად გვევლინება. ქეისის განხილვაში არჩევანი შევაჩერეთ შვეიცარიაზე, რადგან ის არის პირველი ნეიტრალური ქვეყანა და ამავდროულად, ნეიტრალიზმის ყველაზე უფრო წარმატებული მაგალითი. ხოლო შედარებისთვის, ყურადღებას გავამახვილებთ მოლდოვას ნეიტრალიტეტზე. მიუხედავად იმისა, რომ მოლდოვას ნეიტრალიტეტის საერთაშორისო სამართლებრივი სტატუსი არ აქვს (ისევე, როგორც, მაგალითად შვედეთს და ფინეთს), 1994 წლიდან ის დე-ფაქტო ნეიტრალური ქვეყანაა და ეს ნეიტრალიტეტი კონსტიტუციით აქვს გამოცხადებული. ვფიქრობთ, რომ მოლდოვას ქეისი, ქართული რეალობისთვის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესოა, რადგან ჩვენ საერთო ისტორიული წარსული (საბჭოთა კავშირი) და მსგავსი საგარეო მისწრაფებები (ევროინტეგრაცია) გვაერთიანებს, ამასთან, ორივე სახელმწიფო ვერ აკონტროლებს სრულად ტერიტორიას.[31]

[30] რონდელი, ალექსანდრე. 2009. პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში. *საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, მე-2 გამოცემა.*

[31]საქართველოს შემთხვევაში ვგულისხმობთ აფხაზეთსა და სამაჩაბლოს, ხოლო მოლდოვას შემთხვევაში დნესტრისპირეთის გაყინულ კონფლიქტს.

შვეიცარია

შვეიცარია მსოფლიოს პირველი ქვეყანაა, რომელმაც საერთაშორისო კონსოლიდაციით, იმ დროისათვის საერთაშორისო სისტემის ყველა წამყვანი სახელმწიფოს თანხმობით, ნეიტრალიტეტი მოიპოვა. 1815 წლის ვენის კონგრესზე, საფრანგეთის რევოლუციებისა და ნაპოლეონის დაპყრობითი ომების შემდგომ, ევროპის სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს ჩამოეყალიბებინათ ევროპის უსაფრთხოების ახალი არქიტექტურა, რომელზეც შვეიცარიამ ნეიტრალიტეტი გამოაცხადა და ამ ნეიტრალიტეტს კონგრესმა მხარი დაუჭირა. ყველა სხვა ნეიტრალურ ქვეყანასთან შედარებით, შვეიცარიის პოლიტიკა და როლი სისტემაში არის ნეიტრალიზმის ყველაზე უფრო წარმატებული მაგალითი. ხშირად შვეიცარიის ნეიტრალიტეტის შეფასებისას ნეიტრალურობის ზოგად კონცეფციასთან მიმართებით, ავტორები შვეიცარიას უწოდებენ ე.წ. აუთლაიერს - ნორმიდან გადახრილ ქვეყანას პოზიტიური დატვირთვით. ნეიტრალიტეტის წარმატებული მაგალითის შექმნა შვეიცარიამ სამი ძირითადი ფაქტორის გათვალისწინებით შეძლო, კერძოდ, თავდაცვითი ძალების ღრმა ინკორპორირება შვეიცარული ცხოვრების წესში (თავის დაცვის დამოუკიდებელი შესაძლებლობა), მეორე - შიდა და საერთაშორისო საზოგადოების დარწმუნების მაღალი ხარისხი ნეიტრალიტეტის, როგორც კოლექტიური სარგებლის სიკეთეში (შიდა და საერთაშორისო საზოგადოებრივი კონსოლიდაცია) და მესამე - შვეიცარული ნეიტრალიტეტის საერთაშორისო სამართლის კონვენციებსა და ჩვეულებათა სამართალში მუდმივი მოხსენიების 200 წლოვანი ისტორია (შვეიცარია ჯერ კიდევ მე-16 საუკუნიდან იცავდა ნეიტრალურობის ტრადიციას).[32] საუკუნეების განმავლობაში ნეიტრალიტეტი იყო შვეიცარული იდენტობის განუყოფელი ნაწილი, ვენის კონგრესით მისი აღიარება იყო საერთაშორისო დეკლარირება იმ ხანგრძლივი ტრადიციისა, რომელსაც შვეიცარია არსებობის მანძილზე ატარებდა - არ ებმებოდა კონფლიქტებში, არ აწარმოებდა დაპყრობით პოლიტიკას, არ ჰქონდა სადავო ტერიტორიები. მიუხედავად იმისა, რომ მაგალითად, შვეიცარიის არაერთ მთავრობას გამოუთქვამს სურვილი ევროინტეგრაციის მიმართულებით, რადგან ეს გაუმარტივებდა რიგ პრაქტიკულ საკითხებს,[33] ამ საკითხის რეფერენდუმზე გატანა მაინც

[32]Dreyer, John and Neal G. Jesse. 2014. Swiss Neutrality Examined: *Model, Exception or Both. Journal of Military and Strategic Studies* 15, 3.

[33] შეიძლება ითქვას ბევრი წევრი ქვეყანაც კი არ არის არაფორმალურად იმდენად ევროინტეგრირებული, როგორც არაწევრი შვეიცარია.

ძალიან რთული აღმოჩნდა, რადგან შვეიცარული იდენტობა მეტწილად მოცულია ნეიტრალიზმის იდეით.[34]

შვეიცარიის ნეიტრალიტეტის პირველი პრაქტიკული გამოცდა პირველი მსოფლიო ომის დროს მოხდა. ომის დროს შვეიცარიამ ძალიან მოკლე დროში მოახდინა ნახევარმილიონიანი არმიის მობილიზება და განალაგა თავის ყველა საზღვარზე, რაც აშკარა გზავნილი იყო მეომარ მხარეთა მიმართ, რომ შვეიცარიას შეეძლო საკუთარი ნეიტრალიტეტის დამოუკიდებლად დაცვა, ამავდროულად, მან განაცხადა, რომ არც ერთი მხარის სასარგებლოდ არ აპირებდა კონფლიქტში ჩართვას და შეასრულებდა მომლაპარაკებლის როლს იმ შემთხვევაში თუ მეომარი მხარეები მზად იქნებოდნენ დაპირისპირება ნებისმიერ ფაზაში მშვიდობიანად გადაეწყვიტათ. მართალია პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით შვეიცარიამ დიპლომატიური როლი ვერ შეასრულა, რაც, უპირველეს ყოვლისა, მხარეთა ნების არ არსებობით იყო გამოწვეული, მაგრამ მან მოახერხა ყოფილიყო ჰუმანიტარულ მისიათა ბაზა. ამ როლის სარგებლიანობაში მეომარი მხარეები მალევე დარწმუნდნენ, შესაბამისად, შვეიცარიამ მოახერხა დარჩენილიყო ნეიტრალური და ამავდროულად, პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, შეასრულა რა ნეიტრალიტეტის ყველა პირობა, მან მიიღო სამომავლო ნეიტრალიტეტის კიდევ უფრო მეტი გარანტიები ვერსალის ხელშეკრულების 435-ე მუხლით.[35]

მეორე მსოფლიო ომი ახალი გამოცდა იყო შვეიცარული ნეიტრალიტეტისთვის. ომის მოახლოვებისთანავე შვეიცარიამ მეომარ მხარეებს აცნობა, რომ ის აპირებდა დარჩენილიყო ნეიტრალიტეტის ერთგული და ყოფილიყო ქვეყანა, რომელიც „ამსუბუქებდა ადამიანთა ტანჯვას ომის დროს“[36], თუმცა მან, პირველი მსოფლიო ომის პერიოდის მსგავსად, მრავალრიცხოვან არმიას გაუკეთა მობილიზება და განაცხადა, რომ საჭიროების შემთხვევაში, ბრძოლის გზით დაიცავდა ნეიტრალიტეტს. განსხვავებით პირველი ომისგან, მეორე მსოფლიო ომში გერმანიის სურვილები და გეგმები შვეიცარიისადმი კონტრავერსიული იყო - საწყის ეტაპზე პატივს სცემდა შვეიცარულ ნეიტრალიტეტს, თუმცა საფრანგეთის დაცემის შემდგომ, 1940 წლის ზაფხულში შვეიცარიაში შეჭრა განიზრახა, აქტიურ სამხედრო მოქმედებამდე კი

[34] Morris, Kate and Timothy J. White. 2011. Neutrality and European Union: The case of Switzerland. *Journal of Law and Conflict Resolution.* Vol. 3 (7). 104-111.
[35] Dreyer, John and Neal G. Jesse. 2014. Swiss Neutrality Examined: *Model, Exception or Both. Journal of Military and Strategic Studies* 15, 3.
[36] Chevallaz, Georges-Andre. 2001. The Challenge of Neutrality: Diplomacy and the Defense of Switzerland. *Maryland: Lexington Books.*

შვეიცარიას ეკონომიკური სანქციები დაუწესა, რამაც პირველადი მოხმარების პროდუქტების დეფიციტი გამოიწვია. ამ პერიოდში მესამე რაიხის იდეოლოგმა გებელსმა განაცხადა, რომ ისინი შვეიცარიას გადააქცევდნენ ნაციონალ-სოციალისტურ ქვეყანად. თუმცა, გერმანიის საომარმა კამპანიამ აღმოსავლეთით უზარმაზარი როლი ითამაშა ამ მიზნიდან უკან დახევაში, რადგან გერმანიამ გაიაზრა რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის კვალდაკვალ, ძალიან რთული იქნებოდა შვეიცარიის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყება, მით უმეტეს, რომ უკვე საკმაოდ ძვირი უჯდებოდა მუქარა საპასუხო შვეიცარული სანქციების გამო. მიუხედავად იმისა, რომ უკვე აშკარა იყო გერმანია აღარ აპირებდა დაპყრობითი მოქმედებების წარმოებას შვეიცარიის წინააღმდეგ, 1945 წლის აპრილამდე შვეიცარია სრულ მზადყოფნაში იყო ფართომასშტაბიანი თავდაცვითი ომის საწარმოებლად.[37]

მეორე მსოფლიო ომის დროსაც, პირველის მსგავსად, მეომარი სახელმწიფოები შვეიცარიის ტერიტორიას იყენებდნენ, როგორც ბუფერულ ტერიტორიას პოლიტიკური და ჰუმანიტარული შეხვედრებისთვის. ამგვარად, შვეიცარიამ კიდევ ერთხელ, დამოუკიდებლად შეძლო საკუთარი ნეიტრალიტეტის დაცვა და უფრო მეტად გააღრმავა ნეიტრალიზმის ტრადიცია. შვეიცარიამ ცივი ომის დროს იგივე კურსი გაატარა, რაც წინა 45 წლის განმავლობაში. შეინარჩუნა აბსოლუტური ნეიტრალიზმი და არ შეუერთდა არც გაერთიანებული ერების ორგანიზაციას და არც ევროპის კავშირს. ამავდროულად, ის ჩამოყალიბდა აღმოსავლეთ-დასავლეთ ბანაკის დიპლომატიურ ცენტრად, სადაც დაპირისპირებული მხარეები პერმანენტულად ხვდებოდნენ ერთმანეთს, გარდა ამისა, შვეიცარული საბანკო სისტემა და მისი დაცულობა, ერთნაირად მომხიბვლელი გახდა სუ-ს ყველა აქტორისთვის.[38]

ცივი ომის შემდგომ პერიოდში, როდესაც ახალი მსოფლიო წესრიგი დამყარდა და გლობალურმა საფრთხეებმა ფორმა იცვალა, შვეიცარიამ აბსოლუტური ნეიტრალიტეტის ეტაპობრივი დათრგუნვა დაიწყო. 1997 წელს პირველი ნაბიჯი ევროპის კავშირთან მეტი თანამშრომლობისა და ინტეგრაციის კუთხით გადადგა, ასევე, შეუერთდა ნატოს პარტნიორობა მშვიდობისთვის პროგრამას. ამ უკანასკნელში მისი მონაწილეობა ეფუძნებოდა სურვილს, რომ მონაწილეობა მიეღო ჰუმანიტარულ მისიებში, ევროპის რეგიონულ

[37] Dreyer, John and Neal G. Jesse. 2014. Swiss Neutrality Examined: *Model, Exception or Both. Journal of Military and Strategic Studies* 15, 3.
[38] Mockli, Daniel. 2011. Neutral Switzerland and Western Security governance from the Cold War to the global economic crisis. *Journal of Transatlantic Studies* 9, 4. 282-304.

სტაბილურობაში, შეიარაღების კონტროლსა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ სურვილისა და თანამშრომლობის შედეგი იყო, მაგალითად ის, რომ 1995 წელს შვეიცარიამ გახსნა თავისი საჰაერო, სახმელეთო და სარკინიგზო გზები ნატოს ჯარებისთვის ყოფილ იუგოსლავაში შესასვლელად, ასევე, 1999 წელს მცირე სამხედრო კონტიგენტის გაგზავნა კოსოვოს მისიაში. 2002 წელს შვეიცარია გაეროს წევრი გახდა.[39]

ყველაზე უფრო ხანგრძლივი ნეიტრალიტეტის ტრადიციის მქონე, ორ მსოფლიო და მესამე ცივ ომს გადარჩენილი ნეიტრალიზმის პირობებში, შვეიცარიამ, რომ ნეიტრალიტეტის დათრგუნვა დაიწყო და ახალი ტიპის „ევროპული იმიჯისკენ" მიისწრაფის, ამან ძალიან ღრმად უნდა დაგვაფიქროს ნეიტრალიზმის ფუნქციურობაში თანამედროვე დროს. იქნებ ავტორთა ის ჯგუფი მართალია, ვინც ამტკიცებს, რომ იდეალურ ნეიტრალიზმშიც კი ნეიტრალიტეტი ნელ-ნელა კვდება, კარგავს თავის უწინდელ იდეას და ფუნქციურად უკვე გამოუსადეგარია. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ზემოთ ვახსენეთ, შვეიცარიის ვერცერთმა ხელისუფალმა მოსახლეობა ვერ დაარწმუნა გამხდარიყვნენ ევროკავშირის წევრები, მაინც აშკარაა, რომ შვეიცარია ნეიტრალიტეტიდან საგარეო კავშირებზე ორიენტირებულ გზას დაადგა. არ გაწევრიანების მიზეზი კი უფრო შეიძლება კანტონების[40] დამოუკიდებლობისა და თვითმმართველობის მაღალ ხარისხსა და ნეიტრალიზმის იდეის, როგორც იდენტობის ნაწილის კონსტრუქტივისტულ, იმავე აღქმის თეორიაში ვეძიოთ. უკანასკნელმა მოვლენებმა შვეიცარიის მისწრაფება მკაცრი ნეიტრალიზმის შეზღუდვისკენ კიდევ უფრო აშკარა გახადა. კერძოდ, უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდგომ, შვეიცარიის თავდაცვის სამინისტროს უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელმა პევლი პულმა განაცხადა, რომ შვეიცარიამ შესაძლოა ითანამშრომლოს ნატოს წევრ ქვეყნებთან ერთობლივი წვრთნების ჩატარებისა და სამხედრო მარაგების შევსებისთვის. პულის თქმითვე, ქვეყანამ შესაძლოა ნეიტრალიტეტის გაგებაში გარკვეული ინტერპრეტაციები შეიტანოს, მით უმეტეს, რომ შვეიცარიულ საზოგადოებაში იდეურ დონეზე ნატოში ინტეგრაციის საკითხის დისკუსიაც არის წამოჭრილი.[41] შვეიცარიელები გამადიდებელი შუშით აკვირდებიან სხვა ორი ნეიტრალური ქვეყნის - შვედეთისა და ფინეთის ნატოში ინტეგრაციის პროცესს.

---

[39] Dreyer, John and Neal G. Jesse. 2014. Swiss Neutrality Examined: *Model, Exception or Both. Journal of Military and Strategic Studies* 15, 3.

[40] შვეიცარიის ფედერაციის შემადგენელი ადმინისტრაციული ერთეულები.

[41] Reuters. 2022. Analysis: Neutral Switzerland leans closer to NATO in response to Russia. Via URL: https://www.reuters.com/markets/europe/neutral-switzerland-leans-closer-nato-response-russia-2022-05-15/ (29.07. 2022).

მიუხედავად შვეიცარული ნეიტრალიტეტის აშკარა უკან დახევისა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ არ მოიძებნება მსოფლიოში მეორე ანალოგი იმ ტიპის ნეიტრალიზმისა, როგორიც შვეიცარიას აქვს. ნეიტრალიტეტის აბსოლუტურად ყველა იდეის შესრულება დროში მხოლოდ ამ ქვეყანამ მოახერხა, რაც, უპირველეს ყოვლისა, ნეიტრალიზმის ხანგრძლივი ტრადიციით, მსოფლიოს ყველა აქტორის კონსოლიდირებული აღიარებით, დეკლარირების დროის სწორად შერჩევით (ვენის კონგრესი - ევროპის ახალი არქიტექტურის ჩამოყალიბების პერიოდი) და ამ ნეიტრალიტეტის დამოუკიდებლად დაცვის შესაძლებლობით (მესამე რაიხის არმიამაც კი თავი შეიკავა დაპირისპირებოდა შვეიცარიულ ნეიტრალიტეტს). შვეიცარული ნეიტრალიტეტი ისე ძლიერად არის დამკვიდრებული ევროპული დიპლომატიის აზროვნებაში, რომ შვეიცარიის მაგალითის განხილვა და მასზე მიბაძვა, პირიქით, ვნებს საკითხის სიღრმისეულ ანალიზსა და ამავდროულად, გადაწყვეტილებების მიღებისას არასწორ მოლოდინებს უქმნის „ახლად ნეიტრალურ“ სახელმწიფოებს. შესაბამისად, მოსაზრება: „შვეიცარია თუ არის ნეიტრალური - ჩვენც ვიყოთ“ - მსუბუქად რომ ვთქვათ, დროის, კონტექსტისა და მოვლენების არასათანადო აღქმა და შეფასებაა.

მოლდოვა

1994 წლის 19 ივლისს მოლდოვის რესპუბლიკის პარლამენტმა მხარი დაუჭირა ახალ კონსტიტუციას, რომლის თანახმადაც, მოლდოვის სახელმწიფომ გამოაცხადა მუდმივი ნეიტრალიტეტი. მოლდოვას, შვეიცარიისგან განსხვავებით, ნეიტრალიტეტის ტრადიცია არ ჰქონია, უფრო მეტიც, დამოუკიდებლობისა და სუვერენული მმართველობის გამოცდილებაც კი აკლდა. ნათელია, რომ მოლდოვას ნეიტრალიტეტის გამოცხადების მომენტში არ ჰქონდა არც ერთი ის წინაპირობა, რომელიც საჭირო იყო მუდმივი ნეიტრალიტეტის გამოსაცხადებლად (ის რაც შვეიცარიის შემთხვევაში მარტივად განვსაზღვრეთ) და შემდგომ უკვე მის პრაქტიკაში განსახორციელებლად, კერძოდ, არ ჰქონია ნეიტრალიზმის ზემოაღნიშნული ტრადიცია, ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო მოწყვლადობის გათვალისწინებით, არ ჰქონდა ნეიტრალიტეტის დამოუკიდებლად დაცვის შესაძლებლობა, ასევე, არ ჰქონდა შიდა და საერთაშორისო კონსენსუსი (დღემდე ვერ მოიპოვა ნეიტრალიტეტის საერთაშორისო აღიარება და სტატუსი). კიდევ უფრო საგულისხმოა ის, რომ მისი საზღვრები არ იყო დამოწმებული და სუვერენიტეტსა და ძალაუფლებას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ვერ

ახორციელებდა. არ ჰყოლია, მათ შორის, ნეიტრალიტეტის გარანტორი და რუსეთის ფედერაციის გავლენის სფეროში ექცეოდა. ლოგიკურია ვიკითხოთ, თუ არანაირი საფუძველი არ ჰქონდა მოლდოვას, მაშინ რატომ გამოაცხადა ნეიტრალიტეტი და შემდგომ, რა გაუუმჯობესა მოლდოვის რესპუბლიკას კონსტიტუციაში ჩაწერილმა ამ სტატუსმა?

მოლდოვის რესპუბლიკის იმდროინდელი პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ კონსტიტუციაში მუდმივი ნეიტრალიტეტის შესახებ დებულებების ჩართვა რამდენიმე პოლიტიკურ მიზანს ემსახურებოდა: კერძოდ, ნეიტრალიტეტის ჩაწერა იყო მოლდოვის ხელისუფლების ერთგვარი თავდაცვითი სტრატეგია მოსახლეობის ოპოზიციურად განწყობილი ნაწილისგან, რომელიც მოითხოვდა ევრო-ატლანტიკური კურსის არჩევას იმის პარალელურად, რომ ხელისუფლებას მიიჩნევდა პრორუსულ რეჟიმად; მათი მოკავშირე პროკომუნისტური საზოგადოების და არარუმინულენოვანი მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილის ეჭვის განეიტრალება, რომ მოლდოვის რესპუბლიკის ურთიერთობა დასავლეთთან, საბოლოო ჯამში, დააზიანებდა ერთი მხრივ, დსთ-თან ურთიერთობას და მეორე მხრივ, შუაზე გახლეჩდა მოლდოვას რუმინული ნაწილის „სურვილის შესაბამისად“; მათ სურდათ დნესტრისპირეთის არაღიარებული რეჟიმისთვის ცალსახა და დამარწმუნებელი სიგნალის გაგზავნა, რომ დასავლეთთან ურთიერთობა არ ნიშნავდა ე.წ. „რუმინიზაციას“ და არსებული შიდა ეთნიკური კონფლიქტის დასავლური სამხედრო ძალებით გადაჭრის მცდელობას; უნდოდათ ხელისუფლების იმგვარი იმიჯი შეექმნათ, რომ თითქოს გააზრებული ჰქონდათ როგორ უზრუნველეყოთ ქვეყნის უსაფრთხოება ისე, რომ არ გაეწყვიტათ კავშირი რუსეთთან (გზავნილი პრორუსული საზოგადოებისთვის) და არ გაეწყვიტათ - დასავლეთთან (გზავნილი პროდასავლური საზოგადოებისთვის).[42]

ყველაზე სახიფათო და პირდაპირი საფრთხე მოლდოვას რესპუბლიკის უსაფრთხოებისა და სუვერენიტეტისთვის იყო (დღემდე რჩება) დნესტრისპირეთის სეპარატისტული რესპუბლიკა და რუსეთის ფედერაციის დისლოცირებული სამხედრო ძალები მოლდოვის ტერიტორიაზე. ეს იყო პირდაპირი შედეგი კრემლის ახალი იმპერიალისტური პოლიტიკისა, რომელსაც ის იყენებდა და იყენებს მისთვის „სტრატეგიული მნიშვნელობის“ არეალებში.[43] კიშინოვის ხელისუფლების მცდელობამ გამოეყენებინა ნეიტრალიტეტის სტატუსი, რათა

[42]Moșanu, Viorel. 2000. The Neutrality Policy of the Republic of Moldova - What Chances for the Future? *Südosteuropa* 49, 9-10.
[43]Vahl, Marius and Michael Emerson. 2004. Moldova and the Transnistrian Conflict. Via URL: https://www.ssoar.info/ssoar/handle/document/6196 (29.07.2022).

„ეიძულებინა“ მოსკოვი გაეყვანა საოკუპაციო ჯარები და, შესაბამისად, დაეჩქარებინა ტირასპოლის ადმინისტრაციასთან დავის პოლიტიკური მოგვარების პროცესი, კრახი განიცადა. სახელმწიფოს მუდმივი ნეიტრალიტეტის გამოცხადების ერთ-ერთი ლოგიკური მიზანი შეიძლება იყოს მომავალ სამხედრო კონფლიქტებში ჩართვა და საკუთარ ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის ჯარების არ ჩაყენება, მაგრამ პრაქტიკაში არ არსებობდა და არც ახლა არსებობს პრეცედენტი, რომ აღნიშნულს უკუქცევითი ფუნქცია შეიძლება ჰქონდეს, შესაბამისად, ჯარების გაყვანისა და სუვერენიტეტის მთელ ტერიტორიაზე აღსადგენად ნეიტრალიტეტის გამოყენება, იმთავითვე მარცხისთვის განწირული ნაბიჯი იყო.[44]

ყველა სხვა ხელისშემშლელი წინაპირობა რომც დავივიწყოთ (ნეიტრალიტეტის დამოუკიდებლად დაცვის შეუძლებლობა, საერთაშორისო გარანტიების არ არსებობა, არეული რეგიონული მდგომარეობა და ა.შ), დნესტრისპირეთის კონფლიქტის გამო, მოლდოვის რესპუბლიკის ნეიტრალიტეტს ბევრი გამოწვევა აქვს, კერძოდ, თითქმის ყოველთვის არსებობს საფრთხე იმისა, რომ დნესტრისპირეთის გაყინული კონფლიქტი აქტიურ დაპირისპირებაში გადაიზარდოს, სახეზე მივიღოთ სამხედრო დაპირისპირება და მოლდოვა აღმოჩნდეს ომში ჩართული, სადაც მეორე მხარეს მხოლოდ ტირასპოლის მხარე კი არა, პოტენციურად რუსეთის ფედერაციაც არის. ოფიციალური კიშინოვი ვერ აკონტროლებს ყველა სამხედრო ძალას მის ტერიტორიაზე. 1992 წლის სამოქალაქო ომმა აჩვენა, რომ კონფრონტაცია მოლდოვის ნაციონალურ ძალებსა და ტირასპოლის რეჟიმის სამხედრო დანაყოფებს შორის შესაძლოა მარტივად იქნეს პროვოცირებული. მით უმეტეს გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ სამხედრო შესაძლებლობების თვალსაზრისით, დაპირისპირებულ მხარეთა რესურსები (რუსული ძალების გამოკლებით) მსგავსია. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, რომ რუსულმა არმიამ დნესტრისპირეთის რეგიონი გარდაქმნა ერთგვარ „სამოთხედ კრიმინალებისთვის“, მან შექმნა შავი ბაზარი თითქმის ყველა ტიპის იარაღისთვის, ნარკოტიკებისა და ჩვეულებრივი საქონლისთვის. საგულისხმოა ისიც, რომ რუსეთი აქ წვრთნის არმიას, რომელსაც არავითარი პასუხისმგებლობა არ გააჩნია საერთაშორისო სამართლის წინაშე. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ 1993 წელს ტირასპოლის სეპარატისტულმა მთავრობამ სამხედროების საკმაოდ დიდ ჯგუფი გააგზავნა

[44] See also Moșanu.

მოსამზადებლად მოსკოვში, ეს ის მოხალისეთა ჯგუფია, რომელიც შემდგომ მონაწილეობას იღებდა აფხაზეთის ომში, საქართველოს რეგულარული არმიის წინააღმდეგ[45].

ნეიტრალიტეტის ძირითადი ფაქტორების გათვალისწინებით და უპირველეს ყოვლისა, ნეიტრალიზმის პირველი ფუნდამენტური მოთხოვნის მიხედვით, ნეიტრალური ქვეყანა არ უნდა ჩაერთოს სამხედრო მოქმედებაში თავისი ქვეყნის ტერიტორიის მიღმა (თავდაცვითი ომი - ომი ნეიტრალიტეტის დასაცავად), მათ შორის, არ უნდა მოახდინოს რომელიმე მებრძოლი მხარის მომარაგება იარაღით. თუმცა, 1994 წლის ზაფხულში, ნეიტრალიტეტის მიღებიდან სულ რამდენიმე თვეში, ოფიციალურმა კიშინოვმა გასაყიდად დაამტკიცა 4 MIG-29 ჯეტი იემენის შეიარაღებული ძალებისთვის, სადაც მიმდინარეობდა სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომი.

1997 წლის ნოემბერში კი პენტაგონის განცხადებით, მოლდოვის მიერ გაყიდული 21 MIG 29 ჯეტი, შესაძლოა, ირანს გამოეყენებინა ბირთვული მასალის ლოჯისტიკისთვის. სამხედრო თვითმფრინავების გაყიდვის შესაძლო ფაქტი აშშ-მ შეაფასა, როგორც საერთაშორისო ტერორიზმის ხელშემწყობი აქტი. თუნდაც ეს ყოფილიყო საფუძველს მოკლებული ბრალდება, ნეიტრალიტეტის ფაქიზი ბუნებიდან გამომდინარე, ამერიკის განცხადების შემდგომ, რამდენად წარმოსადგენია, რომ მოლდოვის ნეიტრალიტეტის გამოცხადება სერიოზულად აღქმულიყო მსოფლიოს დიდი ძალების მიერ. ნეიტრალიტეტის პირობის დარღვევად ჩაეთვალა მოლდოვას, აგრეთვე, რუსეთთან დადებული ბილატერალური შეთანხმება. 1995 წლის 10 თებერვალს, იმ დროისათვის მოლდოვის პრეზიდენტმა მილჩა სნეგურმა ხელი მოაწერა რუსეთ-მოლდოვას შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის პროტოკოლს, რომლის მე-3 თავის მიხედვით, ისინი პასუხისმგებლობას იღებდნენ დახმარებოდნენ მეორე მხარეს, მათ შორის სამხედრო გზით, იმ შემთხვევაში თუ რომელიმე მათგანის წინააღმდეგ ან ერთდროულად, სხვა ძალა აგრესიულ ქმედებას განახორციელებდა (აღსანიშნავია, რომ რუსეთის დუმამ მოგვიანებით არ მოახდინა ამ შეთანხმების რატიფიცირება), თუმცა ის რომ მოლდავურმა მხარემ ამ ხელშეკრულებას ხელი მოაწერა, ცხადად აჩვენებდა, თუ რამდენად მოწყვლადი იყო მოლდოვური ნეიტრალიტეტი და ოფიციალური კიშინოვი ნეიტრალიზმის იდეის მიმართ.[46]

---

[45] Moșanu, Viorel. 2000. The Neutrality Policy of the Republic of Moldova - What Chances for the Future? *Südosteuropa* 49, 9-10.

[46] Napieralska, Anna. 2012. Russian-Moldovan Relations after the Collapse of the Soviet Union. *West Virginia University.*

მოლდოვის ნეიტრალიტეტის პოლიტიკის შანსების შესახებ ზემოაღნიშნული შეფასებების დასასრულებლად, სასარგებლო იქნებოდა შვედი მკვლევარის ოლავ ფ. კნუდსენის მიერ შემოთავაზებული ანალიზის დონეების განხილვა. კნუდსენი ადგენს იმ დამოუკიდებელ ცვლადებს, რომელიც გავლენას ახდენენ პატარა ქვეყნის საგარეო პოლიტიკური, თავდაცვისა და უსაფრთხოების კურსის არჩევისას.[47] ეს ცვლადებია: *დიდი ძალის პერსპექტივიდან აღქმული, პატარა ქვეყნის გეოსტრატეგიული მდებარეობა და მნიშვნელობა* - ამ პერსპექტივიდან, რუსეთის, როგორც დიდი ძალის აღქმით, მოლდოვის რესპუბლიკას მნიშვნელობა ენიჭება სამი თვალსაზრისით: 1. რუსეთს სურს მოლდოვის მთლიანად მის ვექტორზე მოქცევა; 2. რუსეთს სურს სამხედრო ბაზების ქონა ყველა პოსტ-საბჭოთა სივრცის ტერიტორიაზე, მათ შორის, ბუნებრივია, მოლდოვას ტერიტორიაზე; 3. რუსეთს სურს ჩრ. ატლანტიკური ალიანსის აღმოსავლეთით გაფართოების შეკავება. მეორე დეტერმინატი, *დაპირისპირების ხარისხია დიდ ძალებს შორის,* ამ შემთხვევაში, რუსული აღქმით ნატოს გაფართოების კვალდაკვალ (იმ ფონზე რომ რუმინეთი უკვე არის ალიანსის წევრი), რუსეთს სჭირდება რაც შეიძლება მეტი პლაცდარმი თავისი სამხედროების განსათავსებლად (ამ კუთხით საკმაოდ წინ არის წაწეული, საქართველოში - აფხაზეთი, სამაჩაბლო. უკრაინაში - ყირიმი, ახლა უკვე დომბასი; 3. მოლდოვაში - დნესტრისპირეთი. ეს ნაღმები არის ამავდროულად შანტაჟის კარგი მექანიზმი). მესამე, *ძალაუფლების ციკლის ფაზა, რომელშიც იმყოფება უახლოესი დიდი ძალა.* ძნელია იმის შეფასება თუ ძალაუფლების რომელ ფაზაზე იმყოფება ახლა რუსეთი, თუმცა ფაქტია, რომ ის არც ისეთი სუსტია, როგორიც ჩანდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ და არც ისეთი ძლიერი, როგორც გამოიყურებოდა, მაგალითად 2007 წლის მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე, თუმცა, უკრაინაში მისი შეჭრით ცალსახად გამოჩნდა, რომ ძალისმიერი მეთოდებით ძალაუფლების ცენტრში მოქცევა და კავშირის დაშლის შემდგომ დაკარგული ძალაუფლების აღდგენა სურს უახლოეს საზღვარგარეთში. კიდევ ერთი ცვლადი, *მცირე სახელმწიფოსა და უახლოეს დიდ ძალას შორის ურთიერთობის ისტორიული მეხსიერებაა,* ამ თვალსაზრისით მოლდოვას რუსეთის მიმართ ნდობა ნაკლებად აქვს, რადგან საუკუნეების განმავლობაში რუსეთი გამოხატავდა გეოპოლიტიკურ ინტერესებს ბალკანელების მიმართ. ისტორიულად რუმინელი ხალხი ყოველთვის რჩებოდა ამ ასპირაციის გზაზე, ხშირად ისინი ხდებოდნენ რუსული ჰეგემონური

[47]Knudsen, Olav Fagelund. 1996. Analysing Small-State Security: The Role of External Factors.

მისწრაფებების მსხვერპლნი. და ბოლოს, *სხვა მეზობელი სახელმწიფოს დამოკიდებულება დიდი ძალის მიმართ* - ზომა, პოტენციალი და გეოპოლიტიკური მდებარეობა, ამ როლს უკრაინას აკისრებს. უკრაინის ჩრდილო ატლანტიკური ალიანსისკენ მისწრაფება და პარალელურად, რუსეთის გამანადგურებელი ომი უკრაინის მიმართ, ნეიტრალიტეტი, როგორც უსაფრთხოების გარანტია, მოლდოვის მხრიდან ანაქრონიზტულად გამოიყურება.[48]

დღეს მოლდოვა იმაზე უფრო ახლოსაა ევროკავშირთან, ვიდრე ოდესმე. უკრაინის ომის ფონზე, მკვეთრად გამოხატული პროდასავლური კურსითა და ნაბიჯებით, მოლდოვამ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი მიიღო უკრაინასთან ერთად. რუსეთის რევიზიონისტული მისწრაფებების გათვალისწინებით, მით უმეტეს, რომ ნეიტრალიტეტის გაცილებით უფრო დიდი ტრადიციისა და შესაძლებლობის მქონე ფინეთი და შვედეთი ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებას ითხოვენ, ხოლო შვეიცარია მეტსა და მეტს საუბრობს და მოქმედებს ნეიტრალიტეტის დათრგუნვაზე, ასევე, ნეიტრალიტეტის ისტორიული წარუმატებლობის მხედველობაში მიღებით, უნდა ვივარაუდოთ, რომ ევროინტეგრირებული მოლდოვა, მხოლოდ ფურცელზე დაწერილ ნეიტრალიტეტს უარს ეტყვის და ნატო-ს კარზე დააკაკუნებს.

დასკვნა

საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინასა და პრაქტიკაში ნეიტრალიტეტის სტატუსი განიხილება როგორც პატარა ქვეყნის საგარეო პოლიტიკური არჩევანი, რომლის მთავარი მამოტივირებელი საკუთარი სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების შენარჩუნება და კონფლიქტებიდან დისტანცირებაა. რეალისტური პარადიგმით, პატარა ქვეყნას თვითგადარჩენის ინსტიქტი ხშირად უბიძგებს ხოლმე გვერდზე გადგეს საერთაშორისო პროცესებიდან და მისი საგარეო პოლიტიკა რაც შეიძლება შეუმჩნეველი დარჩეს, თუმცა პატარა ქვეყანას, რომელიც დიდი ძალის ფართო ხედვის ორბიტაზე ექცევა, ხშირად დამოუკიდებელი, „სამარტოო“ საგარეო პოლიტიკის წარმოების ფუფუნება არ აქვს და ძლიერ მოკავშირეთა შემენის მიღმა არჩევანი არ რჩება. საერთაშორისო ურთიერთობების თეორია და პრაქტიკა ნეიტრალიტეტის ბევრ ფორმას იცნობს, ამავდროულად, ის მკაცრად განსაზღვრავს

[48] See also Knudsen.

ნეიტრალიზმის არჩევანის პატერნებს, რომლის არ არსებობის პირობებში, ნეიტრალიტეტი მხოლოდ ფურცელზე დაწერილი ფორმალური მდგომარეობა და ქვეყნის მიერ საკუთარი თავის მოტყუებაა.

რეალური, პრაქტიკაში მოქმედი ნეიტრალიტეტის მისაღწევად, ქვეყანას უნდა გააჩნდეს ნეიტრალიტეტის ტრადიცია, ფართო შიდა და საერთაშორისო საზოგადოებრივი კონსენსუსი; ის არ უნდა წარმოადგენდეს სხვა დიდი სახელმწიფოს პოლიტიკის მნიშვნელოვან ობიექტს, სხვა სიტყვებით, გეოსტრატეგიულად „მარგინალურ ზონაში“ არ უნდა იმყოფებოდეს; დამოუკიდებლად უნდა შეეძლოს საკუთარი თავისა და ნეიტრალიტეტის დაცვა; სრულად უნდა ახორციელებდეს ძალაუფლებას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე და მსოფლიოს წამყვანი აქტორების მხრიდან უნდა მოიპოვოს ნეიტრალიზმის აღიარება (მინიმუმ დიდი ძალ(ებ)ის მიერ მიიღოს ნეიტრალიტეტის გარანტია). სხვა შემთხვევაში, ნეიტრალიტეტი უბრალოდ დროის კარგვაა და იმის ილუზია, რომ ქვეყანამ შეძლო და მიმდინარე თუ მომავალი საგარეო საფრთხეები აირიდა თავიდან.

დღეს მსოფლიოში 21 ნეიტრალური სახელმწიფოა, მათი უმეტესობა თვითგამოცხადებული ნეიტრალიტეტია და პრაქტიკულად ვერ აკმაყოფილებს ნეიტრალიტეტის მოთხოვნებს. ის ქვეყნები კი რომლებმაც შეძლეს რეალური ნეიტრალიტეტის დამკვიდრება (მაგალითად, შვეიცარია, მეტ-ნაკლებად შვედეთი და ფინეთი) ამ ნეიტრალიტეტის აშკარა რევიზიას ახდენენ. მიმდინარე წელს რუსეთის უკრაინაში შეჭრამ ნეიტრალიტეტის ისედაც დაღმავალ კონცეფტს საფუძველი გამოაცალა და ნეიტრალურ ქვეყნებს ამ პოლიტიკის დათრგუნვისკენ უბიძგა - შვედეთი და ფინეთი ნატო-ში შესვლას ცდილობენ, შვეიცარია კი სულ უფრო მეტს საუბრობს ინტერპრეტაციებზე ნეიტრალიტეტში - დასავლურ უსაფრთხოების გარანტიებზე.

წინამდებარე დოკუმენტში, გარდა იმისა, რომ ნეიტრალიტეტის კონცეფტის ზოგადი პრობლემები გავაანალიზეთ, შევადარეთ ორი ქვეყნის წარმატებული (შვეიცარია) და წარუმატებელი (მოლდოვა) ნეიტრალიტეტი. ვნახეთ, რომ წარმატებულ ნეიტრალიტეტსაც მნიშვნელოვანი გამოწვევები აქვს, ხოლო წარუმატებელი ნეიტრალიტეტი მარტივად წარმოჩინდა, როგორც უტოპია. მოლდოვამ 1994 წლის ნეიტრალიტეტით ვერც ერთი პრობლემა ვერ მოაგვარა, მისი ტერიტორიული მთლიანობა კვლავ დარღვეულია, 28 წელი გავიდა და კვლავ უცხო ჯარი დგას მის ტერიტორიაზე, რუსეთიდან მომდინარე საფრთხეები ოდნავადაც არ შეუმცირებია, პირიქით - გაიზარდა.

საფუძველი არ გვაქვს ვიფიქროთ, რომ საქართველო მოლდოვაზე უკეთეს პრაქტიკას აჩვენებს ნეიტრალიტეტის მიმართულებით. ნეიტრალიტეტის წინაპირობების თვალსაზრისით საქართველო იმაზე ოდნავ უკეთეს მდგომარეობაშიც არ იმყოფება დღეს, ვიდრე მოლდოვა 1994 წელს ან/და მელოსელები ძველ საბერძნეთში. უფრო მეტიც, 1918 წელს საქართველომ დამოუკიდებლობის აქტით თავი ნეიტრალურ სახელმწიფოდ გამოაცხადა, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია რუსეთისთვის 1921 წელს ქვეყნის ანექსია მოეხდინა და საქართველო რუსეთის გუბერნიად გამოეცხადებინა. ისტორიისა თუ დღეს საქართველოსა და მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების გათვალისწინებით, საფრთხე რეალურია, ხოლო ამ საფრთხის არ შემჩნევა და მოკავშირეების არ მოძიება, მელოსელებზე უკეთეს პოზიციაში არ გვაყენებს. ნეიტრალიტეტი იმ პირობებში, რომ მის ვერც ერთ პირობას ვერ აკმაყოფილებ და მსოფლიო წესრიგიც იცვლება, პატარა, დაუცველი ქვეყნის, პარადოქსული არჩევანია.

გამოყენებული ლიტერატურა

- რონდელი, ალექსანდრე. 2009. პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი. მე-2 განახლებული გამოცემა.
- რონდელი, ალექსანდრე. 2006. საერთაშორისო ურთიერთობები. თბილისი: მე-3 განახლებული გამოცემა.
- არტი, რობერტ და რობერტ ჯერვისი. 2015. საერთაშორისო პოლიტიკა - მუდმივი ცნებები და თანამედროვე საკითხები. *ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.*
- ალექსიძე, ლევან. 2015. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. თბილისი: იურისტების სამყარო.
- NPLG.gov.ge. იზოლაციონიზმი. იხ. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=4387 (27.07.2022).
- Agius, Christine and Karen Devine. 2011. Neutrality: A really dead concept? A reprise. *Cooperation and Conflict* 46, No. 3. Via URL: 'Neutrality: A really dead concept?' A reprise on JSTOR (28. 07. 2022).
- Britannica. Isolationism. Foreign Policy. Via URL: https://www.britannica.com/topic/isolationism-foreign-policy (27. 07. 2022).
- Britannica. Neutrality in International Relations. Via URL: https://www.britannica.com/topic/neutrality (25. 07.2022).
- Chevallaz, Georges-Andre. 2001. The Challenge of Neutrality: Diplomacy and the Defense of Switzerland. *Maryland: Lexington Books.*
- Dahl, 1997; Dorfer, 1997; Penttila, 1999; Jop and Ojannen, 1999; Ries, 1999; Forsberg, 2000; Forsberg and Vahtoranta, 2001; Sivonen, 2001; Winnerstig, 2001; Honkanen, 2002; Bailes 2006; Ferreira, 2007.
- Dreyer, John and Neal G. Jesse. 2014. Swiss Neutrality Examined: *Model, Exception or Both. Journal of Military and Strategic Studies* 15, 3.
- Encyclopedia of Public International Law, Vol. 4. 1982. North-Holland Publishing Company.
- Encyclopedia of Social Sciences. Neutral States. Via URL: https://www.encyclopedia.com/social-sciences/applied-and-social-sciences-magazines/neutral-states (25. 07. 2022).
- Goetschel, Laurent. 1999. Neutrality a Really Dead Concept? Cooperation and Conflict 34, 115-139.
- IBM. 2020. To combat cross-border cyber threats, cooperation is key. Via URL: https://www.ibm.com/policy/to-combat-cross-border-cyber-threats-cooperation-is-key/ (28. 07. 2022).
- Keethaponcalan. S. I. 2016. Reshaping the Non-Aligned Movement: challenges and vision. *Journal of Global South* 3, 4.
- Knudsen, Olav Fagelund. 1996. Analysing Small-State Security: The Role of External Factors.
- Lyon, Peter. 1960. Neutrality and the Emergence of the Concept of Neutralism. *Cambridge University Press for the University of Notre Dame du lac on behalf of Review of Politics* 22, No. 2. Via URL: Neutrality and the Emergence of the Concept of Neutralism on JSTOR (26. 07. 2022).
- Ministry of External Affairs, Government of India. 2012. History and Evolution of Non-Aligned Movement. Via URL: https://mea.gov.in/in-focus-article.htm?20349/History+and+Evolution+of+NonAligned+Movement (26. 07. 2022).
- Mo$anu, Viorel. 2000. The Neutrality Policy of the Republic of Moldova - What Chances for the Future? *Südosteuropa* 49, 9-10.

- Mockli, Daniel. 2011. Neutral Switzerland and Western Security governance from the Cold War to the global economic crisis. *Journal of Transatlantic Studies* 9, 4. 282-304.
- Morris, Kate and Timothy J. White. 2011. Neutrality and European Union: The case of Switzerland. *Journal of Law and Conflict Resolution.* Vol. 3 (7). 104-111.
- Napieralska, Anna. 2012. Russian-Moldovan Relations after the Collapse of the Soviet Union. *West Virginia University.*
- Nilesh, Preeta. 2014. Belgian Neutrality and The First World War: Some insights. *Indian History Congress.* Via URL: https://www.jstor.org/stable/44158486#metadata_info_tab_contents (28.07. 2022).
- Rauch, Carsten. 2008. Farewell Non-Alignment? *Peace Research Institute Frankfurt*. Via URL: https://www.jstor.org/stable/resrep14485.1 (25. 07. 2022).
- Reuters. 2022. Analysis: Neutral Switzerland leans closer to NATO in response to Russia. Via URL: https://www.reuters.com/markets/europe/neutral-switzerland-leans-closer-nato-response-russia-2022-05-15/ (29.07. 2022).
- Reuters. 2022. Belarus leader stands with Russia in campaign. Via URL: https://www.reuters.com/world/europe/belarus-leader-stands-with-russia-campaign-2022-07-03/ (26. 07. 2022).
- Simpson, Archi W. 2018. Realism, Small States and Neutrality.
- Vahl, Marius and Michael Emerson. 2004. Moldova and the Transnistrian Conflict. Via URL: https://www.ssoar.info/ssoar/handle/document/6196 (29.07.2022).
- World Population Review. Neutral Countries 2022. Via URL: https://worldpopulationreview.com/country-rankings/neutral-countries.